ამონაწერი
ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
სხდომის

ოქმი # 2

თბილისი 21.12.2022 წ.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u> თ.ყარალაშვილი (თავმჯდომარე), გ.ლომინაძე, კ.თავართქილაძე, კ.წიქარიშვილი, ვ.გელაძე, ნ.ბოლაშვილი, მარიამ ციცაგი (სწავლული მდივანი).

<u>დღის წესრიგი:</u> 1. თსუ-ს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესის დადგენა და კონკურსის გამოცხადება;

<u>მოისმინეს:</u> სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომას 7 წევრიდან ესწრება 6 და სხდომა უფლებამოსილია გადაწყვიტოს დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი. მან დამსწრეთ გააცნო ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად უნივერსიტეტის წესდებით და ინსტიტუტის დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმები. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა ემსჯელათ დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესის შესახებ და დაედგინათ კონკურსის გამოცხადებისთვის გონივრული ვადები.

<u>კითხვები დასვეს:</u> კ.თავართქილაძემ, ვ.გელაძემ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> გ.ლომინაძემ, კ.წიქარიშვილმა, ნ.ბოლაშვილმა.

<u>სხდომამ დაადგინა:</u> დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი (დანართი 1) და კონკურსის გამოცხადების და საბუთების მიღების თარიღები (დანართი 2). კერძოდ, კონკურსი გამოცხადდეს 2022 წლის 22 დეკემბერს, საბუთების მიღება წარმოებდეს 2023 წლის 9 იანვრიდან 13 იანვრის ჩათვლით, ხოლო კონკურსის შედეგი თსუ-ს მიეწოდოს არა უგვიანეს 27 იანვრისა. საბუთების წარდგენა მოხდება ინსტიტუტის შენობაში, თამარაშვილის ქ.№6, ოთახი #10, 11 საათიდან 16 საათამდე.

საბჭოს თავმჯდომარე,

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

თამაზ ყარალაშვილი

სწავლული მდივანი მარიამ ციცაგი